აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 133

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი 22 ნოემბერი 2017 წ.

1. დამტკიცდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი წარმოდგენილი სახით.
(აფილირების წესი თან ერვის)

2. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: პროფ. სულხან კუპრაშვილი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – აწსუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს;
2. აწსუ-ში აფილირება წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის და პერსონალის მართვის შემადგენელ კომპონენტს, რომელმაც უნდა შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემო, გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა;
3. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **აფილირება** – წინამდებარე წესის მიზნებისათვის, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება (აფილირების განაცხადი), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ უნივერსიტეტთან.

ბ) **აფილირებული აკადემიური პერსონალი** – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების განაცხადი;

გ) **აფილირების განაცხადი** – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის აფილირებასთან დაკავშირებით;

მუხლი 3. აფილირებულ აკადემიურ პირთა უფლებები და ვალდებულებები:

1. აფილირება არის ნებაყოფილობითი. აწსუ-ში აფილირებული შეიძლება იყოს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც წერილობით დაადასტურებს აფილირების სურვილს, ეთანხმება და ასრულებს ქვემოთ მითითებულ პირობებს:
   - ა) აწსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარების, ცოდნის მიწოდებისა და გაზიარების პროცესებში;
   - ბ) აწსუ-ს სახელით ახორციელებს საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, რომლის კვლევის შედეგები წარმოადგენს აწსუ-ს და/ან მისი ძირითადი საგანამათლებლო ერთეულების კვლევითი პროფილის შემადგენელ ნაწილს;
   - გ) აქტიურად არის ჩართული აწსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
   - დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. აწსუ-ში არ შეიძლება პირის აფილირება, თუ:

ა) პირი აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) აწსუ-ს გარდა დასაქმებულია სხვაგან, რის გამოც მას ხელი ეშლება აწსუ-ში დადგენილი აფილირების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებში, რაც მოწმდება სასწავლო პროცესის მიმდინარე მონიტორინგითა და აკადემიური დატვირთვის წლიური მოცულობის შესრულების გაკონტროლებით;

3. აფილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც აწსუ-ში დადგენილია შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;

4. უნივერსიტეტისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია აფილირებული პირი.

მუხლი 4. აფილირებული აკადემიური პირების მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულებები:

1. აფილირება შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის მქონე პირის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით;

2. აფილირებულ პირებისათვის მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) აწსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ აწსუ-ს სახელით გამოსაცემად მომზადებულ სახელმძღვანელოს/მეთოდურ მასალას (შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებისა და აკადემიური საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში) და გამოსაქვეყნებლად მომზადებულ *სტატიას/პუბლიკაციას* (შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებისა და რექტორის თანხმობის შემთხვევაში);

ბ) აფილირებული პირის მიერ აწსუ-ს სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის შემთხვევაში, აწსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს, იყენებს წახალისების მექანიზმს (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი და სხვ.), შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების შემთხვევაში;

გ) აწსუ-ს სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში აფილირებული პირის მიერ მომზადებული სტუდენტის მონაწილეობის შემთხვევაში, აწსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს და აფილირებული პირის მიმართ იყენებს წახალისების მექანიზმს (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი და სხვ.), შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების შემთხვევაში;

დ) აწსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას (რომლის შედეგები ეთვლება აწსუ-ს), შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების შემთხვევაში, მათ შორის:

დ.ა) ერთწლიან წვდომას აფილირებული პირის მიერ არჩეულ საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალის მასალებთან, რომლებიც დაკავშირებულია კვლევის სფეროებთან;

დ.ბ) შიდასაუნივერსიტეტო (საფაკულტეტო) სამეცნიერო თუ გამოყენებით საგრანტო პროექტებს;

ე) ამ წესით განსაზღვრული აფილირებული აკადემიური პერსონალის დაფინანსების ოდენობა (სრული/ნაწილობრივი) და წახალისების მექანიზმები (ერთჯერადი ფულადი ჯილდო,

პრემია, ხელფასის დანამატი და სხვ.) განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორის მიერ;

ვ) მხოლოდ აფილირებულ პირს შეიძლება მიენიჭოს ემერიტუსის წოდება;

3. აფილირებულ პირებს აქვთ გარკვეული კვოტა აწსუ-ს არჩევითი ორგანოების შემადგენლობაში (თითოეულ ფაკულტეტს თანაბარი რაოდენობის აფილირებული წარმომადგენელი), რაც განისაზღვრება აწსუ საარჩევნო კოდექსით.

მუხლი 5. აფილირების გაუქმება

1. აფილირების გაუქმების საფუძველია:

   ა) აფილირებული პირის წერილობითი განცხადება აფილირების გაუქმების შესახებ;

   ბ) შრომითი ხელშეკრულების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა;

   გ) აწსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება აფილირების გაუქმების შესახებ, აფილირებული პირის მიერ წინამდებარე წესში მითითებული პირობების ან/და ინდივიდუალური ყოველწლიური დატვირთვის მოთხოვნების დარღვევის/შეუსრულებლობის ან/და ატესტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში;

   დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, აწსუ-ს შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შემთხვევები, რომლებიც იწვევენ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას.

2. აფილირების გაუქმება არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას;

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. დამტკიცდეს აწსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირებასთან დაკავშირებით განაცხადის ფორმა დანართის სახით.
2. აფილირებასთან დაკავშირებით განაცხადები ვიზირებული უნდა იქნას ფაკულტეტების დეკანების მიერ.
3. წარმოდგენილი განაცხადების ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე წესისა და აწსუ-ს შინაგანწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განისაზღვროს აწსუ-ში აფილირებული პირები;
4. აფილირებული პროფესორების სია უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
5. აფილირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის თავმოყრა, შესაბამის ბაზაში შეყვანა და პერიოდული მონიტორინგი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, დაევალოს აწსუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და აწსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

აწსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის განაცხადი აწსუ-სთან აფილირების შესახებ

1. პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ:

სახელი	
გვარი	
პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტიური მისამართი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
აწსუ-ში დაკავებული თანამდებობა	

2. აფილირების შესახებ განაცხადი

გავეცანი და ვეთანხმები აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის №_____ დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესს“.

ვაცხადებ, რომ დასაქმებული ვარ მხოლოდ აწსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე (არ ვმუშაობ შეთავსებით სხვა დაწესებულებაში) და მსურს ვიყო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისიტეტში აფილირებული პირი.

გთხოვთ თქვენს თანხმობას.

3. პერსონალური ინფორმაციის დამუშვების შესახებ განმცხადებლის თანხმობა:

თანხმობას ვაცხადებ აწსუ-სთან შრომითი სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში აწსუ-ს მიერ დამუშვებული იქნას ჩემი პერსონალური ინფორმაცია აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და აწსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

განმცხადებლის ხელმოწერა_____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

რექტორი გიორგი ღავთაძე _____

აწსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის განაცხადი აწსუ-სთან აფილირების შესახებ

1. პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ:

სახელი	
გვარი	
პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტიური მისამართი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
აწსუ-ში დაკავებული თანამდებობა	

2. აფილირების შესახებ განაცხადი

გავეცანი და ვეთანხმები აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის №_____ დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესს“.

ვაცხადებ, რომ დასაქმებული ვარ/ვაპირებ დავსაქმდე სხვა დაწესებულებაში, სადაც ჩემი სამუშაო დატვირთვა და განრიგი ხელს არ შემიშლის სრულად შევასრულო აწსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი აკადემიური დატვირთვა და აწსუ-სთან აფილირებული პირისათვის განსაზღვრული მოთხოვნები. აწსუ-ს აკადემიურ თანამდებობას მივიჩნევ ჩემს ძირითად სამუშაოდ. მსურს ვიყო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისიტეტში აფილირებული პირი.

გთხოვთ თქვენს თანხმობას.

(შეავსეთ ქვემოთ მოცემული გრაფები)

დაწესებულების დასახელება	დაკავებული თანამდებობა (შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერა)	სამუშაო დღეები და საათები	სასწავლო კურსი, კრედიტი, სთ-ების მოცულობა, სამუშაოს სახე (ლექცია, ლაბორატ.სამუშაო და სხვ.)
			შენიშვნა: აღნიშნული გრაფა ივსება იმ პირების მიერ, ვინც ეწევა

			აკადემიურ დაქმიანობს სხვა დაწესებულებაში.

3. **პერსონალური ინფორმაციის დამუშვების შესახებ განმცხადებლის თანხმობა:**

თანხმობას ვაცხადებ აწსუ-სთან შრომითი სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში აწსუ-ს მიერ დამუშვებული იქნას ჩემი პერსონალური ინფორმაცია აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და აწსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

რექტორი გიორგი ღავთაძე _____